

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გაწეული საქმიანობის  
(მუშაობის) შესახებ ანგარიშის ფორმა

საკრებულოს წევრის სახელი, გვარი - ზაზა ანდრიაძე  
თანამდებობის დასახელება - საკრებულოს წევრი  
ფრაქციის დასახელება - "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"  
კომისი(ებ)ის დასახელება - ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია  
არჩევის წესი (მაჟორიტარული ოლქის მითითებით) - ზუგდიდის N67 საარჩევნო ოლქის  
დარჩევის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი.  
საანგარიშო პერიოდი - 2018 წლის 1 აპრილიდან 2018 წლის 30 ივნისამდე.  
ანგარიშის ტიპი (რიგითი, რიგგარეშე) - რიგითი

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა:

1. სულ საკრებულოს სხდომის რაოდენობა - 4  
საკრებულოს სხდომებზე დასწრება - 4
2. სულ კომისიის სხდომების რაოდენობა - 5 მ/შ დროებითი კომისიების \_\_\_\_\_  
კომისიის სხდომებზე დასწრება - 5 მ/შ დროებითი კომისიების \_\_\_\_\_
3. სულ ფრაქციების სხდომების რაოდენობა - 3  
ფრაქციის სხდომებზე დასწრება - 2
4. საკრებულოს წევრების მიერ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები:  
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა ეთიკის კოდექსის და ფიცის  
დამტკიცების შესახებ;  
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის „ომის ვეტერანთა სოციალური დაცვის  
პროგრამიდან, თანხის გაცემებზე მუნიციპალიტეტის მერიისთვის თანხმობის მიცემის  
თაობაზე;

სსიპ „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ შამგონის საჯარო სკოლისათვის ალექსანდრე ჩიქავას სახელის მინიჭებაზე თანხმობის მიცემის შესახებ;

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ნაწულუკუს ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფელ ნაწულუკუს საზღვრის დადგენის და ქუჩების დამტკიცების შესახებ;

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვისათვის მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრისა და მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ;

„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის N36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

5. ის საკითხები, რომლებსაც საკრებულოს წევრმა მხარი არ დაუჭირა :

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჭითაწყაროს N4 სასაფლაოს ნაწილისთვის (2000 კვმ) პანთეონის სტატუსის მინიჭების თაობაზე;

6. მოქალაქეებთან შეხვედრების რაოდენობა - 6 და შეხვედრებზე მონაწილე მოქალაქეთა რაოდენობა -150.

7. მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები :

დასაქმება, შიდა გზების მოხრეშვა, სანიაღვრე არხების მოწესიგება, მდ.ჯუმზე ნაპირსამაგრი სამუშაოების განხორციელება, აზიურ ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებების ჩატარება.

შევსების თარიღი : 29.06.2018 წ.

წარდგენის თარიღი: 06.07.2018 წ.

ხელმოწერა: 